№ 86
შაბათი, 22 აპრილი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 86
22 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ" განზრახულია გაიმართოს მაისის 6 და 7-ში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლისაგან.

მისაღები ეგზამენები იქმნება 25-დგან 28 აპრილამდე, დილის 9 საათზედ, სასწავლებლის შენობაში. იმათ, რომელთაც თხოვნასთან ერთად ჯეროვანი საბუთის ქაღალდები არ წარმოუდგენიათ, ვთხოვთ იზრუნონ მათდა წარმოსადგენად 22 აპრილისათვის. (8—6.—6)

## ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6 დის.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ანგარიში ტფილისის გუბერნიის გორის მაზრის მემამულეთა სამეურნეო ამხანაგობისა 1899 წლის იანვრიდგან 1900 წლის 1 იანვრამდე. გამგეობა თავისს მოხსენებაში სწერს, რომ „ამხანაგობის აღებ-მიცემობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, თუმცა მას თანხა ისეთი დიდი არა აქვს. მაგალითად, 1898 წელს მან გაჰყიდა 141,881 მან. და 17 კაპ.-ის საქონელი, შარშან კი 205,666 მანეთისა და 29 კაპ. რასაკვირველია ამას დაეხმარა ის გარემოება, რომ შარშან აგვისტოს და ოქტომბრის განმავლობაში გაიხსნა ერთი განყოფილება ქ. ტფილისში და გომის საწყობის პატარა განყოფილებანი [illegible]. ჩვენ ამხანაგობას უფრო მეტი აღებ-მიცემობა ექნებოდა, ზემო ქართლში რომ ის უმაგალითო სეტყვა არ მოსულიყო, რომელმაც ოც სოფელზედ მეტს მოუსპო სრულიად მოსავალი.

„გასულ საანგარიშო წელს ორს სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენასა ვხედავთ: ჯერ პირველი ის, რომ ჩარჩები და კომისიონერები, რომელნიც უფრო უმეტესად გლეხკაცობაში დაძვრებოდნენ და იმათგან ჰყიდულობდენ ჰირნახულსა, წინანდებურად ველარ ნავარდობდენ, რადგან გლეხკაცობა ჩვენ ამხანაგობას უფრო ნდობის თვალით უცქეროდა და გასასყიდად თავის ჰირნახული ამხანაგობაში მიჰქონდა, რაიც უფრო სასარგებლო იყო მისთვის. მეორე ისა, რომ მის ბრწყინვალების კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გრ. ს. გოლიცინის წყალობით შემთხვევა მიეცა ამხანაგობას საინტენდანტო უწყებასთან დაეჭირა საქმე და ამ ჟამად იგი აბარებს ამ უკანასკნელს ხორბალსა და ქერს. ამ გარემოებამ ძლიერ ასწია ჰირნახულის ფასი და საკმაოდ დააჯილდოვა მწარმოებლები.

„ამას გარდა, არა ნაკლებ სასიამოვნო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ ჩვენმა ამხანაგობამ იმოდენად დაიმსახურა ნდობა, რომ ტფილისის განყოფილებამ სახელმწიფო ბანკისამ გაუხსნა მას ჯერ-ჯერობით სამასის თუმნის კრედიტი, ტფილისის საკომერციო ბანკმა—ოთხასის თუმნისა, აზოვ-დონის საკომერციო ბანკიც იღებს ჩვენს ვექსილებს და ამით, რასაკვირველია, დიდი [illegible] ტფილისის ვაჭრებში, რომელნიც გვაძლევენ საქონელს ნისიათ 4—6 თვის ვადით, რაიც ძლიერ გვიმართავს ხელს.

„დასასრულ გამგეობა საალებ-მიცემო თანხის გასაძლიერებლად სთხოვს საზოგადო კრებას, რომ მან ნება დართოს გამგეობას სესხი აიღოს როგორც სხვა-და-სხვა ბანკებიდგან, ისე კერძოდ 100,000 მანეთამდე. აგრეთვე გამგეობა სთხოვს უფლება მიეცეს მას დაესესხოს ამხანაგობის სათადარიგო და საზოგადო საჭიროების თანხებს იმავე საგნისათვის. ამას გარდა გამგეობა სთხოვს კრებას, რომ შუამდგომლობა აღიძრას, სადაც ჯერ არს, ამხანაგობის წესდების შევსების შესახებ იმ მუხლით, რომლის ძალითაც ამხანაგობის წევრთ მხოლოდ ამხანაგობას უნდა მიჰყიდონ თავიანთი ნა-

## ფელეტონი

### კატოგრიოვის გაჩენა ქვეყნად და მისი განვითარება

თავდაპირველად ჩვენი დედამიწა, მეცნიერთა აზრით, უსიცოცხლო არსებობაში იმყოფებოდა. ეს,სხვათა შორის, იქიდგანაცა სჩანს, რომ ჩვენს დედამიწას თორმეტიათასჯერ უფრო მეტი სიცხოველე ჰქონდა, ვიდრე ადუღებულ წყალსა აქვს. ამ გვარ საშინელ სიცხის გამო, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელი იყო სიცოცხლის რაიმე ნიშნები ქვეყნად. ყველა ნივთიერება ორთქლად იყო ქცეული. შემდეგ-კი, როდესაც დედამიწის სიცხოველემ იკლო, შესაძლოდ შეიქმნა ზოგიერთ ნივთიერებათა ქიმიურად შეერთება. ამ გვარად წარმოსდგა წყალი, მარილი და სხვა. ბოლოს დედამიწის ზურგი ისე განელდა, რომ გაუკეთდა კანი, რომელზედაც, დასასრულ, აღმოცენდა სიცოცხლე. ყველაზედ უფრო ადრე განელდა პოლიარული ქვეყნები და ამიტომ სიცოცხლეც პირველად ამ ქვეყნებში უნდა გაჩენილიყო.

მთელი ქვეყნიერება წარმოსდგა ერთის დასაწყისისაგან. მცენარენი და სულიერი არსებანი შესდგებიან იმ ნაწილებისაგან, რომლებსაც იღებენ მიწისა, ჰაერისა და წყლიდგან. ეს ნაწილებია: მჟავ-მბადი, ნახშირ მბადი, წყალ-მბადი, აზოტი, გოგირდი, ფოსფორი და სხვანი, სულ თორმეტი ნაწილი, რომელთა შორის ყველაზედ მეტი მნიშვნელობა მჟავ მბადსა აქვს. წყალი და სითბო აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სიცოცხლისათვის. მეცნიერთა აზრით, სიცოცხლე პირველად წყალში უნდა გაჩენილიყო. ეს-კი არ არის გამოკვლეული, რა უფრო ადრე გაჩნდა,—მცენარე თუ სულიერი არსება. ზოგი იმასა ჰფიქრობს, რომ მცენარე სულიერ არსებაზედ უფრო ადრე უნდა გაჩენილიყო, ზოგის აზრით-კი—ორივენი ერთს დროს გაჩნდა.

პირველ სულიერ არსების გაჩენის შემდეგ მეტად დიდი დრო უნდა გასულიყო, ვიდრე იმდენი სხვა და-სხვა გვარი სულიერი არსება გაჩნდებოდა, რამდენიც დღეს ქვეყანაზეა. ამასთანავე მეცნიერულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ქვეყნად ყოფილან ოდესმე იმ გვარი სულიერი არსებანიც, რომელნიც შემდეგ სრულიად გაქრალან. ამას ჰმოწმობენ მრავალჯერ ნაპოვნი მიწაში ჩამარხული ძვლები გადაშენებულ პირუტყვთა შორის. როგორც უფრო ყველაზედ შესანიშნავს, დავასახელებთ მამონტს, ეხლანდელ სპილოს მსგავს ცხოველს, მაგრამ სპილოზედ გაცილებით უფრო დიდის აგებულობისას. ამ პირუტყვს სხეული დაფარული ჰქონდა გრძელითა და სქელის ბალნით; ამას გარდა მამონტი შეიარაღებული იყო უშველებელის ეშვებით. დედამიწის ზოგიერთ ადგილას ძვლების გარდა აღმოაჩინეს მთელი გაყინული მამონტი, მიწაში ჩაფლული. მაგალითად, 1799 წ. ციმბირში ერთ ადგილას ჰნახეს მიწაში გაყინული მამონტი, რომელიც ისე კარგად შენახულიყო, რომ ხორციცა და ბალანიც კი შერჩენოდა. მეცნიერთა ექსპედიცია მხოლოდ შვიდის წლის შემდეგ წავიდა ამ მამონტის სანახავად, მაგრამ როდესაც მეცნიერნი მივიდნენ, ჰნახეს, რომ მამონტის ხორცი დათვებს შეეჭამათ და მხოლოდ ჩონჩხი-ღა დარჩენილიყო. ეს ჩონჩხი ეხლა პეტერბურგის მუზეუმშია დაცული.

მეცნიერების აზრით, მამონტს დედამიწაზედ მაშინ უნდა ეცხოვრა, როდესაც ქვეყნად „ყინვის ხანა" იყო. ამ სახელით-კი ის დროა წოდებული, როდესაც ჩვენის დედამიწის უმეტესი ნაწილი ყინულით იყო მოცული. ყინულით მოცულ ადგილებში, რასაკვირველია, სიცოცხლე ვერ აღმოცენდებოდა, მაგრამ ამ ადგილებს გარდა ისეთი ადგილებიც იყო, სადაც სიცოცხლისათვის საკმაო სითბო მოიპოვებოდა. დედამიწამ სამჯერ გამოიარა „ყინვის ხანა": გათავდებოდა თუ არა ერთი „ყინვის ხანა", დედამიწას სითბო ემატებოდა, შემდეგ-კი, როდესაც ხელ-ახლა დგებოდა „ყინვის ხანა", დედამიწა ცივდებოდა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „ყინვის ხანა" ის წარღვნაა, რომლის შესახებაც დაბადება და თითქმის ყველა კულტურულ ხალხთა გარდმოცემა მოგვითხრობს. „წარღვნით" ხალხთა გარდმოცემას ის უნდოდა აღენიშნა, რომ ჩვენმა დედამიწამ ერთ დროს ისეთი ცვლილება გამოიარა, რომლის დროსაც სულიერ არსებათა ერთ უმცირესს რიცხვს გარდა ყველანი ამოსწყდნენ. ხოლო რაც „ყინვის ხანას" შეეხება, მეცნიერება დღეს იმ აზრს ადგია, რომ ამ ხანის დროს დედამიწის ზოგიერთ ადგილას სიცოცხლეს თავის სიძლიერე არ დაუკარგავს; ამ დროს ბოლო მხოლოდ ზოგიერთ სულიერ არსებათ მოელოთ, როგორც, მაგალითებრ, მამონტს.

რაკი ქვეყნად ერთხელვე სიცოცხლე გაჩნდა, იგი აღარასოდეს აღარ შეწყვეტილა. ამ გვარი აზრი მხოლოდ ჩვენ საუკუნეში გამეფდა, წინად-კი მეცნიერნი სულ სხვა აზრისანი იყვნენ. წარსულ საუკუნის მიწურულში მეცნიერის კიუვიეს მოძღვრება იყო ძლიერი, იმ კიუვიესი, რომლის შესახებ მისი თანამედროვენი აღტაცებით ამბობდნენ, რომ ამ მეცნიერისთვის ერთი ძვალიც-კი საკმაოა იმის გასაგებად, რომელ ცხოველს ეკუთვნის იგიო. კიუვიე ამტკიცებდა, რომ დედამიწას გამოუვლია რამდენიმე ისეთი ცვლილება, რომლის დროსაც მასზედ სრულიად მოსპობილა სიცოცხლე; ხოლო როდესაც ახალი ხანა იწყებოდა, ცხოვრება ხელ-ახლად ჩნდებოდა: ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, როგორც კიუვიე ჰფიქრობდა, ყოველი ახალი ხანა წინანდელისაგან განსაკუთრებულ ახალ გვარ არსებითაც განირჩეოდა. ასე რომ ადამიანი და ის სულიერი არსებანი, რომელნიც დღეს დედამიწაზედ

წარმოები. ამაზედ ცალკეა შედგენილი მოხსენება".

ამხანაგობას, გომის მთავარ საწყობს გარდა, ჰქონია განყოფილებანი ტფილისსა, კნოლევსა და ბრეთში. ამ წელს განუზრახავს საწყობი გამართოს ქ. გორში და განყოფილება გახსნას დ. ცხინვალში. ამხანაგობას საანგარიშო წელს 85.112 მან. 13 კაპ. ალებ-მიცემობა ჰქონია. დარჩენია ნაღდ მოგებად: 4,364 მან. 76 კაპ., ამას გარდა აქვს თანხები საალებ-მიცემო 14731 მან., სათადარიგო—2 564 მან. 01 კაპ. და საზოგადო საჭიროებისა—1,265 მან. 64 კაპ. საანგარიშო წელს ამხანაგობას 12,572 მ. 69 კ. ხარჯი ჰქონია. ამა 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვით გამგეობა ამხანაგობისა თხოულობს 22,537 მან., ამ რიცხვიდგან გამგე-დირექტორის ჯამაგირად 2,000 მან., გომის განყოფილების ხარჯად 8,334 მან. 03 კაპ., ტფილისის განყოფილებისათვის—3,050 მან., ბრეთისა—1,978 მან., კნოლევისა—1,465 მან., გორში გასამართ საწყობისა—2,515 მან. და ცხინვალისა—3,195 მან.

ამხანაგობის წევრთა კრება დანიშნულია 30 აპრილისათვის, რომელმაც შემდეგი საგნები უნდა განიხილოს:

1) 1899 წლის ანგარიშის გასინჯვა და დამტკიცება.

2) 1900 წლისათვის ხარჯის აღრიცხვის გასინჯვა და დამტკიცება.

3) კრედიტის გაფართოვების მოხსენება.

4) მოხსენება სათადარიგო და საზოგადო საჭიროების თანხებიდგან სესხის აღების შესახებ.

5) მოხსენება ამხანაგობის წესდების შევსებისა და შეცვლის შესახებ.

6) არჩევა დირექტორ-გამგებლისა, თავ. ვასილ გიორგის ძის მაჩაბლის მაგივრად, რომელიც რიგით სტოვებს სამსახურს, აგრეთვე ზედამხედველ კომიტეტის ორის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

*** როგორც მეურნეობის დეპარტამენტის ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, შარშან 1899 წელს სოხუმის ოლქში საშუალო მოსავალი ყოფილა სიმინდისა. ღვინის მოსავალიც საშუალო ყოფილა. სიმინდი სექტემბერში ფუთი 50 კაპეიკად ჰფასობდა, წლის გასულს კი 40 კაპეიკად. თამბაქო კარგის ხარისხისა ჯერ 12—18 მანეთად იყიდებოდა, მაგრამ შემდეგ ჩარჩებს პირი შეუკრავთ და 6—9 მანეთამდე დაუწევიათ ფასი.

*** 19 აპრილს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდა ბავშვთათვის სამზრუნველო საზოგადოების წევრთა წლიური კრება. როგორც წაკითხულ ანგარიშიდგანა სჩანს, შარშან საზოგადოებას სულ 855 წევრი ჰყოლია. შემოსავალი ჰქონია 12,378 მან. 76 კაპ., ხარჯი—11,085 მ. 15 კ. ავლაბარში საზოგადოებას ბავშვთა თავშესაფარი აქვს. შარშან იქ სულ 22 ბავშვი იყო. კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში, აგრეთვე მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრებამ შემდეგ განიხილა ნ. ე. აბრასიმოვის მოხსენება ტფილისში მყოფ მთხოვარა ბავშვების მოვლა-პატრონობის შესახებ. დაადგინეს, მოხსენება განსაკუთრებულ კომისიას გადაეცეს განსახილველად. დასასრულ კრებამ სარევიზიო კომისიის წევრები აარჩია.

*** როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, სააქციონერო საზოგადოება სდგება შავის ზღვის პირის გუბერნიაში სადგურ დინსკიდგან დაბა სოხუმამდე რკინის გზის გასაყვანად. სიგრძე ამ გზისა 424 ვერსტი იქმნება. შემდეგ საზოგადოებას აზრადა აქვს რკინის გზა სოხუმიდგან ახალსენაკამდინაც გაიყვანოს. ამას გარდა საზოგადოება 2,300,000 მანეთს გადასდებს სანატორიებისა და აგარაკების გასამართავად.

*** როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ამიერ-კავკასიის რკინის-გზის უფროსი ინჟენერი ვედენეევი პეტერბურგში წავიდა. იმის თანამდებობას დროებით ინჟ. ი. ს. შაიკევიჩი ასრულებს.

*** ავჭალის ქუჩაზედ გამართულ ცხენის რკინის გზის პატრონებმა ბ-ნთ ყორღანოვმა და ალიბეგოვმა, აცნობეს რა ქალაქის მოურავს, რომ ჯერ ისევ წარსულის წლის თებერვალში შემოვიტანეთ განცხადება ჩვენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისთვის გადაცემის შესახებ, მაგრამ გამგეობამ ყურადღება არ მიაქციაო, სთხოვეს ეს განცხადება ეხლა მაინც შეიტანოს საბჭოში განსახილველად.

*** 20 აპრილს ტფილისის მე-3 ნაწილის ბოქაულთან მივიდა ვინმე ალექსანდრე ბასკაკოვი და გამოუცხადა, რომ ამ ორის თვის წინად, როდესაც სად. აქსტაფაში გმსახურებდი, რევოლვერით მოვკალი ამ სადგურის დეპოს უფროსი და შემდეგ დავიმალეო. ეხლა, გავიგე რა, რომ ამ მკვლელობას სრულიად უდანაშაულო კაცს აბრალებენ, სინდისი მოსვენებას აღარ მაძლევს, ამიტომ გთხოვთ დამაპატიმროთო. ბასკაკოვი საპყრობილეში ჩასვეს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თავისს უკანასკნელ კრებაზედ მოისმინა-რა გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკის მოხსენება ქალაქის სავადმყოფოს გასაფართოებლად და ავადმყოფთათვის ორის ახალის თავშესაფარის დაარსების შესახებ, დაადგინა დააარსოს ეს თავშესაფრები და გადასდოს ამ საქმისათვის 29,300 მანეთი.

*** 20 აპრილს, სოლოლაკში, თავ. ბებუთოვის სახლში აკურთხეს ახლად დაარსებული ქალაქის საჯარო კაჭრობის დარბაზი. კურთხევას ქალაქის მოურავი, ხმოსნები და სხვანი დაესწრნენ.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზრა). ამ სოფელში ერთი საზარელი ამბავი მოხდა: ასლანბეგა ქალოევმა დააბეზღა თავისი რძალი ქმართან, ე. ი. თავისს შვილ მუსესთან: „პატივს არა მცემს ჩემი რძალი, აშარია, მეტი მოურიდებელიაო და სხ." მუსემ, არც აცივა არც აცხელა, აიღო კეტი და მოუქნია ცოლს, რომელსაც ერთი წლის ბავშვი ეჭირა ხელში. ცოლმა თავი გვერდზე გადიღო, კეტი საბრალო ბავშვს მოხვდა თავში და თავის ქალა სულ ჩაუმტვრია. დედაკაცმა ცოცხალ-მკვდარი ბავშვი იქ დააგდო და თითონ კარში გაიქცა. მუსეს დედამ რომ გაიგო, ჩემმა შვილმა თავისი შვილი მოჰკლაო, აიღო დანა და დაიწყო თავისი სხეულის ჩხვლეტა და თექვსმეტ ალაგას დაიჭრა სხეული. მუსეს ცოლმა რომ ნახა მკვდარი შვილი და დედამთილი სასიკვდილოდ დაჭრილი, ავიდა სხვენზედ, მოიბა ყელში თოკი და დაეკიდა. ხალხმა მალე შენიშნა, რომ მოკლულის ბავშვის დედა არსად იყო, მაშინვე მონახეს და ცოცხალ-მკვდარი ჩამოხსნეს. დედამთილი და რძალი მძიმედ არიან ავად, რომელთა მორჩენა საეჭვოა, ხოლო საბრალო ბავშვი კი მაშინვე გარდაიცვალა.

*** ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ, შესასწორებლად გუშინდელის საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის" შესახებ დაბეჭდილის ამბისა, რომ მას უკისრნია მხოლოდ თანამშრომლობა ამ ჟურნალისა; მისს მართვაში-კი მახლობელ მონაწილეობას იღებს არა იგი, არამედ ბ-ნი ილია ალხაზიშვილი, როგორც თანაშემწე ქ-ნ რედაქტორ გამომცემლისა, კომისიის მინდობილობის თანახმად.

*** ს. რუისპირი, (თელავის მაზრა). აქ მშვენიერი ამინდებია, რამაც ჯეჯილებს ძალიან კარგი ფერი დასდო, ვაზის ფოთოლმაც ძალიან გამოიწია და ხეხილები თითქმის სულ დაყვავილდა.

*** ს. მარტყოფი (ტფილისის მაზრა). 11 აპრილს, სამება დღეს, სადილის შემდეგ, ჭიდაობა გაიმართა აქ. ხალხი მთვრალი იყო და არა ესმოდა-რა; სოფლის მოხელენიც, რა თქმა უნდა, სიმთვრალეში არ ჩამოუვარდებოდნენ დანარჩენებს. როგორც მოსალოდნელი იყო მთვრალის ხალხისაგან, ჭიდაობის დროს უსიამოვნება ასტყდა და ყვირილი შეიქმნა. ყვირილის ხმა მიესმა მამასახლისის ნაცვალს იაგორ სალთხუციშვილს, რომელიც წამოხტა სუფრიდგან, რომ მშვიდობიანობა დაეცვა, გაიქცა იქითკენ, საიდგანაც ყვირილის ხმა მოდიოდა. მაგრამ არ გამოიძია საქმე რაში იყო, მივარდა ერთ გლეხს, ალექსი კახაბრიშვილს, რომელიც სახლის ბანზედ იდგა, და დაუწყო უწყალოდ ცემა—„შენ იქნებოდი დამნაშავეო". ის ეფიცებოდა, რომ დამნაშავე არა ვარო, და რომ ჯოხები უცხუნა ნაცვალმა, უკან-უკან დაიწია და უცბად ბანიდგან გადავარდა. საწყალს თავი გაუტყდა და ფეხიც მოსწყდა, იმის მორჩენა სათუოა.

## შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

ანნა ჩაჩიბაიამ—ორი მშვენივრად ნაკერი ლამფის დასადგმელი.

კნიაგინა ელისაბედ კახტანგის ასულმა გურამიშვილისამ—სამი ყვავილებით მორთული ატლასის რედიკიული, ერთი პირსახოცის ჩასაწყობი და ერთიც ნაკერი ჩაის ტილო.

## ვარამი ჩვენი ცხოვრებისა

(წერილები ქართველ დედასთან)

პირველი წერილი.

თქვენს გრძნობით სავსე წერილში ბევრს ისეთ რამე საგულისხმიეროსა და ჩასაფიქრებელს იწერებით, რომ იძულებული ვარ შემდგომისა და გვარად გამოგეპასუხოთ. სხვათა შორის ამასაც ბრძანებთ საყვედურით: „დაგიყენიათ მამაკაცებს,—დედა უნდა იყოს აღმზრდელი თავისის შვილისაო, თქვენ-კი გაზულუქებულხართ და ერთს კრინტსაც არა სძრავთ ჩვენ გასამხნევებლად და უღელის შესამსუბუქებლადაო". შორეული აზრი მამაკაცებისა, რომელსაც თქვენ „დაყენება" უწოდეთ, ფრიად ღირსშესანიშნავია იმდენად, რამდენადაც თქვენი საყვედური მამაკაცების მიმართ დაუხმარებლობის გამო საფუძვლიანია. მართლაც და, ვინ არის დაახლოვებული ისე ბავშვთან, როგორც დედა.

„ვის უყვარხარ, ბავშვო ძლიერ *),
გიალერსებს, გეფერება?
ვის არ უმძიმს შენის ცელქის
ყოფა-ქცევის შეფერება?
— დედას,—დედას მასზედ მეტად
ბავშვი ვილას ეყვარება?
„ვინ გიყვავებს, განებივრებს,
ვისთანა ხარ თავის ნებაზ?
ვის უკრთება დღე-ღამ ძილი,
შენი ფიქრით, ჯავრით დნება?
— დედას, დედას, ჩემს დედიკოს,
მასზედ ტკბილი ვინ იქნება?
„ვინ მოგითხრობს, ლექსს, არაკებს.
ვინ დაგმღერის ტკბილს ნანინას?
ვის შესტირებ შენს დარდს, ნაღველს,
უზრუნველად ვისთან გძინავს?

*) ეს ლექსი „ჯეჯილიდან" არის ამოღებული.

სცხოვრობენ, უნდა გაჩენილიყვნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც დასრულდა „ყინვის ხანა". ამ ხანის დასასრულს დედამიწა ისე ძლიერ გაცივდა და გაიყინა, რომ მთლად ამოსწყდნენ ცხოველნი, რომელნიც-კი მაშინ ქვეყნად იყვნენ. „ყინვის ხანის" შემდეგ ის გეოლოგიური ხანა გამეფთა, რომელშიაც დედამიწა დღესაც იმყოფება. ამ ახალ ხანას ჰქვიან სახელად „ალლუვი", ძველს „ყინვის ხანას"-კი—„დილლუვი".

1774 წ. მეცნიერმა ესპერმა ერთ გამოქვაბულ კლდეში იპოვნა დამარხული ადამიანის ძვლები იმ პირუტყვების ძვლებთან ერთად, რომელნიც დედამიწაზედ „ყინვის ხანის" დროს სცხოვრობდნენ. ამ პირუტყვთა ძვლების შორის იყო მამონტის ძვლებიც; აქედგან ესპერმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ რადგანაც ადამიანის ძვლები იმ პირუტყვების ძვლებთან ერთადაა დამარხული, რომელნიც „ყინვის ხანის" დროს სცხოვრობდნენ და შემდეგ-კი გაჰქრნენ, აშკარაა ადამიანს მაშინაც უცხოვრია ქვეყნად, როდესაც ჯერ კიდევ „ყინვის ხანა" იყო. ამ გვარი აზრი მაშინ მეცნიერთა უმრავლესობის მიერ უარყოფილი იქმნა, რადგან იგი არ ეთანხმებოდა კიუვიეს თეორიას.

ესპერის პირველ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: მალე ახალის გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ადამიანი თანამედროვე ყოფილა მამონტისა და სხვა იმ პირუტყვებისა, რომელთაც „ყინვის ხანის" დროს უცხოვრიათ. „ყინვის ხანის" ადამიანი იმდენად სრული ყოფილა თურმე ფიზიკურად, რომ იგი ლამაზ და განვითარებულ ტიპს წარმოადგენდა. გექსლიმ, გასინჯა რა „ყინვის ხანის" ადამიანის თავის ქალა, წარმოსთქვა, რომ ამ გვარად მოყვანილ თავის ქალას თვით ფილოსოფოსიც-კი არ იუკადრისებსო. კაცობრიობა ერთგვარი არც იმ დროს იყო. გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ მაშინდელი ევროპა დასახლებული იყო სამ-ოთხ სხვა და სხვა მდგომის ხალხით. მაშასადამე, ადამიანი უფრო უძველესი არსება ყოფილა ქვეყნად, ვიდრე მეცნიერთ ეგონათ.

თუ რომ დღეს სულიერ არსებათა ასეთი მრავალ გვარობაა, ეს იქიდგან წარმოსდგა, რომ ქვეყნიერება განუწყვეტლივ მრავალ გარემოებათა გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთა ძალა იმდენად დიდია, რომ თამამად შეგვიძლიან მივაწეროთ ქვეყნიერების ცვლილება და სულიერ არსებათა სხვა და სხვაობა.

სულიერ არსებათა სამეფო ერთ განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენს; სულ მდაბალი სულიერი არსება მაღალ, განვითარებულ არსებისაგან განირჩევა მხოლოდ მარტივის აგებულებით: პირველი ერთ-უჯროვანია, მერე-კი მრავალ-უჯროვანი. სულიერ არსებათა შორის უმაღლესს განვითარებას იმ ცხოველებმა მიაღწიეს, რომელნიც ძუძუთი ჰზრდიან შვილებს, ხოლო ამათ შორის-კი უგანვითარებულესნი არიან ადამიანის მსგავსი (ანთროპომორფნი) მაიმუნი და ადამიანი.

ადამიანის ჩონჩხი რომ შევადაროთ ცხენისას, ვნახავთ, რომ ძვალთა რიცხვი ორსავე შემთხვევაში ერთია, განსხვავება მხოლოდ საზოგადო მოყვანილობისა და ძვლების სიდიდეშია. ადამიანის თავის ქალა სხვა რომელისამე პირუტყვის ქალას რომ შევადაროთ, დავრწმუნდებით, რომ ადამიანის ქალას უფრო ვრცელი სატევი აქვს, ვიდრე პირუტყვისას. ყველაზედ მეტად მსგავსება ადამიანისა და მაიმუნს შორისაა; მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ადამიანი არც შთამომავალია და არც ძმა და ბიძაშვილი მაიმუნისა, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონიათ.

ზოგი ჰკითხულობს, რა გვარი არსება უნდა ყოფილიყო ის, რომელიც მაიმუნსა და ადამიანს შუა იყო. ამ გვარი სულიერი არსება არასოდეს არა ყოფილა. ეს კია მხოლოდ, რომ ადამიანი და მაიმუნი ერთ საერთო წინაპრისაგან წარმოსდგნენ; მაიმუნები წარმოადგენენ სულიერ არსებათა ხის ზემოთა შტოებს, ადამიანი კი ამ ხის წვეროს.

რითი დაიჭირა ადამიანმა ქვეყნად ასეთი განსაკუთრებული ადგილი? სამის თვისების წყალობით: წელში გამართულის სიარულით, განვითარებული ხელებითა და ენით. ენის განვითარება, რომლითაც განირჩევა იგი სხვა სულიერ არსებათაგან, წარმოსდგა ამ სამ თვისებათა ზედ-გავლენით.

იმის წყალობით, რომ ადამიანმა წელში გამართული სიარული დაიწყო, იგი ოთხ-ფეხ ცხოველიდგან თან და თან ორ-ფეხიანად გადაიქცა. ბოლოს ხელები ისე გაუვარჯიშდა, რომ დიდი ძალა და სიმარდე მიეცა; თითები ისე მოექნა, რომ შესძლო ცერის დაახლოვება დანარჩენ ოთხ თითებთან; რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შემდეგ ადამიანის განვითარებასა და იმ უპირატესობის მოპოვების საქმეში, რომელსაც მან მიაღწია დანარჩენ არსებათა შორის.

ადამიანმა წელში გამართული სიარული რომ მხოლოდ შემდეგ დაიწყო, ეს იქიდგანაც სჩანს, სხვათა შორის, რომ ბავშვი სანამ ფეხს აიდგამს, ოთხ-ფეხზედ დაფოფხავს, ამით მასში ძველებურის ოთხფეხ ცხოველის ალლო ილვიძებს. ამ აზრს ისიც ამტკიცებს, რომ ჩვენ ყველანი ჯდომას ვამჯობინებთ, ფეხზედ დგომას.

როდესაც ადამიანი ორფეხა ცხოველად იქცა და როდესაც მან ხეზედ ცხოვრებას თავი ანება, მიატოვა ხეზედ ცხოვრება, მიწაზედ ჩამოვიდა და აქ დაიდო მუდმივი ბინა, რასაკვირველია, იგი უფრო მეტ განსაცდელს მიეცა, რადგან წინად ხეზედ ყოფნის დროს, უფრო დაფარული იყო პირუტყვისაგან, იმ პირუტყვებისაგან, რომელნიც ბევრად სჯობნიდნენ ფიზიკურის ძალით. ამ ახალ გარემოებაში ადამიანის ბრძოლა არსებობისათვის უფრო გამწვავდა: ადამიანს არა ჰქონდა არც დიდი ძალ-ღონე, არც ბუნებით თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედის, დედის კალთაში და
ძუძუებში ვპოვებ ბინას?
„როცა ურჩობ, შრომის ნაცვლად
ცელქობ, სწავლაც გეზარება,
ცრემლს ვინ აფრქვევს? შენი ცუდი
ქცევა ვილას ეჯავრება?
— ისევ დედას. მასზედ უფრო
ბავშვი ვილას ეყვარება?

ეს ცოტაა კიდევ. ვისი თვალები ელავს სიხარულის ცეცხლით ბავშვის დანახვისთანავე, თუ არ დედისა; ვის უსუსურდება მწუხარება და დარდი შვილის დანახვით, თუ არ დედათ, ვის იხსნიებენ შვილები ნეტარებით, თუ არ დედას? თუმცა-კი მამაკაცებსაც მიუძღვით პატივისცემა და სიყვარული შვილებისა, მაგრამ დედის ამაგი ისეთი ძლიერია, რომ „ხელზედ რომ ერბო კვერცხი მოიწვა, ამბობს ხალხი, დედის ამაგს მაინც ვერავინ გადიხდისო“. ამისთვისაც არის, რომ ყველა ქვეყნის შესანიშნავი კაცები თავიანთ კაცობის, თავიანთ წინ წასვლის მიზეზად დედასა სთვლიან. ამის შემდეგ კიდევ ჰბრძანებთ: „მამაკაცებს დაუყენიათ, რომ ჩვენ უნდა ვიყვნეთ აღმზრდელნი ჩვენის შვილებისაო. დიახ, დაუყენიათ და სასუფევლიანადაც დაუყენიათ, ამისთვის რომ თვით ბუნებას მოუნიჭებია თქვენთვის ყველა ის, რაც რომ საჭიროა ბავშვის კვება ჭმევის და აღზრდა-წრთვნისათვის. ცოტა დაკვირვება იხმარეთ, მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარემო, ჩაუკვირდით თქვენს გარეშე ცხოვრება-მოძრაობას და დარწმუნდებით, რომ ბუნებას—ამ დიდებულ თვით-მპყრობელს და წეს-რიგის მომცემს მოუნიჭებია მარტო თქვენთვის-კი არა, ყველა დედათა სქეს სულდგმულისათვის ბატონობა იმ დიდებულ ხელოვნებაში, რომელსაც შვილების აღზრდა და იმათთვის ზრუნვა ჰქვიან. ჩააკვირდით პაწაწკინტელა ჭიანჭველას, რა შრომა ზრუნვაშია ყოველ დღე, დააკვირდით თქვენის სახლის რომელსამე კუნჭულს რა ხელოვნებით არის გაკეთებული ბუდე პაწაწინა ხუროთ-მოძღვრის, „კუდმაკრატელა“ მოჭიკჭიკე მერცხალის მიერ; დააკვირდით კრუხს და ყველა ცხოველებს,—რა განუსაზღვრელ ზრუნვაში არიან და რას იბრძვიან... ნუ თუ მარტო თვით-არსებობისათვის? დააკვირდით კარგად და თქვენვე მიჰხვდებით, რომ ამათაც დიდებული საზრუნავი აქვთ, როგორც თქვენ—შვილების კვება აღზრდა! რასაკვირველია, თქვენსა და იმათ შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ დედობრივი გრძნობა არც იმათ აკლიათ. „დედას“ ქვეყნიერობის ლექსიკონში დიდებული ადგილი უჭირავს, დედა ჰმფლობელობს ქვეყანას, დედა სიხარულია, ბუნების ერთი უმთავრესი ნაწილია, აუდიტორიაა, სადაც მუშავდება და კეთდება დიდებული ჭკუა მინიჭებული სულდგმული, რომელსაც ადამიანს უწოდებენ. ტყუილად-კი არა ბრძანა დიდებულმა პედაგოგ-მეცნიერმა ჟან-პოლმა: „კაი დედები მოგვეცით, რომ სასიქადულო კაცები გამოვიდეთო“.

აი, ასეთი დიდ-მნიშვნელოვანია დედის ბუნებითი დანიშნულება და თუ დღეს გადაგვიხვევია და ზურგი გვიქცევია ამ ბუნებით მიდრეკილებისათვის, მიზეზი ბევრია და უმთავრესად კი, ნუ გეწყინებათ, ჩვენი მოუმზადებლობა, ჩვენი დაქვეითება, ჩვენი აღზრდა-წრთვნა. რანაირად იზრდება დღეს ქართველი დედა? რანაირად იზრდებოდა წინ? ამის შესახებ დღეს არას ვიტყვი, უნდა კი აღვნიშნო, რომ წინანდელი საზრუნავი აღზრდაში უფრო რთული იყო, უფრო ქვეყნიური, მოქალაქობრივი და ახლანდელი კი უფრო ვიწრო, ზედა-პირა, ეგოისტური. წინანდელი დედა თუ სიყვარულს უნერგავდა შვილს და სწრთვნიდა თავის ქვეყნისთვის, თუ წინად დედა მუმუმწოვარა ბავშვს უმღეროდა: „მას დედას მუძუ ტკბილი შხამადამც შერგებია—მამულისთვის სიკვდილი ვისაც დაეზარებიაო“, დღევანდელს დედას ეს მაღალ მნიშვნელოვანი მოქმედება და სიტყვები გადაუსხვაფერებია დროის შესაფერად და სულ სხვას გაიძახის. აი, ამ წერილით ეს იკმარეთ და შემდეგს წერილებში-კი ვეცდები შეძლებისა და გვარად შევეხო შვილთა აღზრდის საქმეს მრავალ სხვა მხრივაც...

ალ. ნათაძე

## მცხეთაში ყოფნა

ამ მიმავალ ბრწყინვალე აღდგომის კვირაში იმერეთიდამ ჩამოვიდა ერთი ჩემი მახლობელი ნათესავი, ღვთის მოსავი მოხუცებული აზნაური თავისის მეუღლით და მთხოვა მცხეთაში წავყოლოდი სანახავად, რადგანაც მას ჯერ არ ენახა ჩვენი პირველი დედა-ქალაქი და მისი საკვირველი საეკლესიო საუნჯენი. მეც აღვუსრულე თხოვნა და 14 აპრილს წავედით.

მოხუც აზნაურს სურდა წირვისთვის მისწრო მცხეთის ტაძარში და ამიტომ ძლიერ იჩქაროდა. ტფილისის რკინის გზის სადგურზედ დროზედ მივედით, მაგრამ იმდენი ხალხი მოგროვილიყო, რომ ტევა აღარ იყო. ყველანი ბილეთების აღებას ეშურებოდნენ, მაგრამ ზოგმა მაინც ვერ მოასწრო. როგორც-კი ზარის პირველი ხმა გაისმა, სადგურის ოთახებში მომწყვდეულმა ხალხმა იგრიალა თავიანთი ნივთებით და მიაწყდა მატარებლის კარებს. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ხალხი შელაგდა. ვინც მოასწრო ადგილის დაჭერა, ხომ დაჯდა, ვინც არადა, ფეხზედ იდგნენ, ისიც ზოგნი გასავლელ ადგილას, ზოგიც წინა-უკანა კარებთან. ამავე დროს მატარებლის კედლებზედ, თითქო დასაცინლად, დიდი ასოებით ეწერა: „ТОЛЬКО 28 МѢСТЪ“. ის-კი არადა, თითო ოთახში სამოცზედ მეტი ქალი და კაცი იყო მომწყვდეული. ჩვენ კიდევ მითი ვანუგეშებდით თავს, რომ ძალიან მოკლე გზა გვქონდა გასავლელი, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი ყოფა ასეთ მდგომარეობაში, რომლებიც შორს მიემგზავრებოდნენ!

როგორც-კი გაჩერდა მცხეთის სადგურთან მატარებელი, საჩქაროდ ჩამოვედით, დავიქირავეთ ეტლი და გავეშურეთ მცხეთის ტაძარში წირვის მოსასმენად. მაგრამ, სამწუხაროდ იმედი გაგვიცრუვდა. ტაძრის კარები დაკეტილი იყო და, არა თუ ტაძარში, გალავანშიაც-კი არავინ სჩანდა, სამიოდე ბალღის მეტი. ძლივს ვიპოვეთ მცველი ტაძრისა და ვთხოვეთ ტაძარში შევეშვით. ამ დროს ტაძრის უმცროსი მღვდელიც მობრძანდა.

— წირვა გათავდა-განა, მამაო? დავეკითხეთ ჩვენ.

— წირვა სრულიად არა ყოფილა, გვიპასუხა.

— რა მიზეზია? —დავეკითხეთ.

— წირვა-ლოცვა აქ მხოლოდ შაბათ-კვირაობით გვხლავთ და მაშინაც გვიჭირდება სებისკვერის დაბარება ტფილისიდგან, არა თუ სხვა დროს.

ცხადია, ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა!—იმ დროს, როცა მთელ საქართველოში იკრიბება წვლილი სვეტი ცხოვლის ტაძრის განახლებისთვის, თვით ტაძრის მღვდლებს ვერ მოუხერხებიათ წირვისათვის საჭირო სებისკვერი მოიპოვონ, თუნდა ეკლესიის ხარჯით, და აღდგომის კვირაში, როცა ტფილისიდგან ყოველს დღეს მლოცველები მიდიან, ტაძრის ბჭენი დახშულნი არ იყვნენ და წირვა-ლოცვა სრულდებოდეს იმ ტაძარში, სადაც ესოდენი შესანიშნავნი მეფენი და წმინდა მამანი განისვენებენ! ეს ბრწყინვალე აღდგომის დღეები ხომ ისეთი დროა, როცა ყოველს ეკლესიაში ზარების რეკვაა და წირვა-ლოცვა სრულდება. მრავალ ჯერ ვყოფილვართ ასეთ დროს წინა წლებში მცხეთაში და გვინახავს, რომ ყოველს დღეს წირვა სრულდებოდა. უკეთუ სოფლის მღვდლები ახერხებენ სების კვერის მოპოებას, მცხეთაში უფრო ადვილი არ არის, სადაც მატარებელი ტფილისიდამ სამჯერ მაინც გაივლის დღეში. ესეც არ იყოს, მცხეთაში, სვეტი-ცხოვლის ტაძრის მახლობლად არსებობს დედათა მონასტერი, სადაც 20-დის მონაზონი სცხოვრობს. ნუთუ არაც ერთმა მათგანმა არ იცის სებისკვერის მომზადება.

როცა გაღო ტაძრის ბჭენი და შიგ შევედით, მთელი გუნდი მტრედებისა აფრინდა და გაექანა გუმბათის ფანჯრებისაკენ.

შევედით ტაძარში, ვილოცეთ და მოწიწებით დავათვალიერეთ ყოველივე. შიგნით ტაძარი ისე ჰმოქმედებს მნახველზედ, თითქოს ეს არის, ეხლა გათავებულიყოს მტრის შემოსევა და ტაძრის გაძარცვა.

ჯერ კიდევ ტაძარში ვიყავით, როცა მოვიდნენ ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის მოწაფენი თავიანთი ინსპექტორითა და მთავარი მანდილოსნით. რასაკვირველია, იმათაც სამწუხაროდ დაურჩათ, რომ წირვა არ იყო და ძლიერ გაუკვირდათ. პარაკლისის შემდეგ შეუდგნენ ტაძრის დათვალიერებას. ყველაზე უმეტეს გააკვირვა მნახველები ორმა ძველმა მხატვრობამ, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ქრისტეს ჯვარზედ მიმჭვალვას, ხოლო მეორე—გარდამოხსნას. ეს ხატები, როგორც ამბობენ, უნდა იყვნენ გადმოღებული თვით უკვდავის მხატვრის რაფაელის მიერ დახატულ დედნებიდგან.

სვეტი-ცხოველის ტაძრიდგან წავედით დედათა მონასტერში. ყველაზედ უწინ ვნახეთ პატარა ეკლესია, რომელიც აგებულია იმ ადგილს, სადაც წმ. ნინო იმყოფებოდა და ლოცულობდა იმ დროს, როცა მეფე მირიანი ნადირობის შემდეგ დაბრუნდა, თაყვანი სცა წმ. ნინოს ვაზის ჯვარს და განაცხადა სურვილი გაქრისტიანებისა. ამ პატარა ეკლესიის გვერდით ეხლა შენდება უფრო მოზრდილი ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

დიდი ტაძარი სამთავრისა დაკეტილი დაგვხდა. წირვა არც იქ ყოფილა იმ დღეს, თუმცა ამ ტაძართან, წინამძღვრის გარდა, ოცამდის მონაზონი სცხოვრობს და იქვე ქალთა სკოლაც არსებობს. ამ ტაძარში ღვთის-მსახურების აღსრულება სვეტი-ცხოვლის ტაძრის მღვდლების მოვალეობას შეადგენს.

ჩვენის თხოვნით მოხუცებულმა მონაზონმა გაგვიღო ტაძრის კარები. შევიდით, ვილოცეთ და ხატებს ვემთხვიეთ. ეს ძვირფასი ტაძარი დღეს სწორედ რომ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. გუმბათი და მაღლა კედლები სინოტივისაგან მეტის-მეტად დაზიანებულია. საკვირველია, რომ ამ ტაძრის ასეთ საშინელ მდგომარეობაზედ დღემდის ხმაც არავის ამოუღია!

ვნახეთ ტაძრის დასავლეთ კუთხეში ის, ყველა ქართველისათვის ძვირფა-

---

დაყოლილი რამე იარაღი, როგორც მაგალითად, ეშვები, რქები, ბრჭყალები და სხვა; მაშასადამე ადამიანს, მეტი ხერხი და ჭკუის გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა, რომ როგორმე ამ სასტიკ ბრძოლიდგან გამარჯვებული გამოსულიყო. ამიტომ ადამიანის ტვინს მეტი სავარჯიშო მიეცა, რამაც იმის გონებრივი ძალა დიდად წასწია წინ. ადამიანი მალე მიხვდა, რომ ჯგუფებათ ცხოვრება დიდ სარგებლობას მოუტანს მტრების მოგერების დროს, ხოლო რადგან ცხოველთა შორის ურთიერთ კავშირი ენაზედ არის დამყარებული, ამიტომ ადამიანის ენასაც დიდი განვითარება დაეტყო. პირუტყვთა და ადამიანის ენის შორის განსხვავება მხოლოდ განვითარების ხარისხშია: თუმცა ადამიანის ენა დიდად არის განვითარებული, მაგრამ ცხოველთა ენასაც შეუძლიან გამოხატოს იმ გვარი გრძნობა, როგორც სიხარული, განრისხება, უკმაყოფილება, თხოვნა და სხვაა. ადამიანის ენის განვითარების საქმეში ორმა ორგანომ მიიღო მონაწილეობა: ტვინმა და ყანყრატომ. ამ ორგანოებს კი ადამიანის ცხოვრების დასაწყისიდგანვე დიდი განვითარება დაეტყო.

რამდენადაც თავის ტვინი უფრო განვითარებულია, იმდენად უფრო მეტი ხვეულებია იმის ზედა პირზედ. დაბალ არსებათა ტვინი, მაგალითად, თევზისა, სადაა და ხვეულებითაც ღარიბია, მაღალ არსებათა ტვინი-კი—რთული და ხვეულებითაც უფრო მდიდარია. ძალიან წააგავს მაიმუნის ტვინი მოყვანილობით ადამიანისას. თუ ადამიანის ტვინი უფრო მდიდარია ხვეულებით, უფრო მძიმეა, ეს იმიტომ, რომ იგი მუდამ ვარჯიშობაში მყოფია, რადგანაც არსებობისთვის ბძოლაში ჭკუა გონება მისი ერთად ერთი ფარ ხმალი იყო.

მაგრამ ადამიანს იმდენად ვერც მისი განვითარებული ტვინი დაიფარავდა მტრებისაგან, იარაღი რომ არ მოეგონებინა. იმ წუთს, როდესაც ადამიანმა პირველად ხელში თავწამწვეტებული კაჟი აიღო პირუტყვის მოსაკლავად, იმან პირველი ნაბიჯი გადასდგა განვითარების გზაზედ. ბუნება რომ სხვა ნაირად იყოს მოწყობილი და სულიერ არსებას რომ იმის მოპოვება შეეძლოს, რაცა ჰსურს, მაშინ არც ამდენი ტანჯვა და გამგელება იქმნებოდა, მაშასადამე არც არსებობისათვის ბრძოლა გაჩნდებოდა და არც საყოველთაო კანონად გადაიქცეოდა ეს ბრძოლა. მაშინ მთელი ქვეყანა დამშვიდებული იქმნებოდა და არსებათა ის საკვირველი ცვლილება, რომელიც ზემოდ დავასახელე, სრულიად შეჩერდებოდა, რადგანაც სწორედ ეს ბრძოლა არსებობისათვის ის ძალაა, რომელმაც გამოიწვია სულიერ არსებათა ამ გვარი წინ მსვლელობა და განვითარება.

არსებობით ბრძოლაში სუსტები და უვარგისნი ვერ უძლებენ ბრძოლას, მარცხდებიან და იხოცებიან; გამარჯვებულნი ამ ბრძოლიდგან მხოლოდ ძლიერნი გამოდიან. იმათ, ვინც ბრძოლას გადურჩნენ, გადასცეს თავიანთი მძლავრი აგებულობა მემკვიდრეობით შთამომავლობას. ისინი-კი, ვინც სუსტის აგებულებისანი იყვნენ, სულ ერთიანად გაწყდებოდნენ, ბუნებას რომ აქაც თავისი დახმარება არ აღმოეჩინა. ბუნებას რომ ერთნაირად გაენაწილებინა ძალ-ღონე და ერთნი რომ ძლიერის აგებულობისანი არა ყოფილიყვნენ, ხოლო მეორენი სუსტისა, მაშინ არავითარი ბრძოლა არსებობისათვის არ იქნებოდა, რადგან პირველნი მეორეებს შესჭამდნენ და ამით გათავდებოდა საქმე. მაგრამ რამდენადაც სხვა-და-სხვა გვარია სულიერი არსება, იმდენად სხვა და სხვა გვარია იმისი თვისება და საბრძოლი იარაღი: ერთს არსებას მეტი ღონე აქვს, მეორეს კიდევ მეტი სიმარდე, მესამეს განვითარებული აქვს სიფრთხილე და გონების გამჭრიახობა. ადამიანი თუ ყველა დანარჩენ სულიერ არსებაზედ ძლიერია და მთელის ქვეყნის მფლობელი შეიქმნა, ეს მხოლოდ თავისს ჭკუა-გონების ძალის წყალობით.

ადამიანმა, როგორც სხვა დანარჩენმა სულიერმა არსებამ დარვინის მოძღვრებით, განვითარებას მიაღწია არსებობისათვის ბრძოლით, რომელიც იმისმა სწრაფმა გამრავლებამ გამოიწვია. თუ ადამიანს უფრო მეტად ჰსურს წინ წასვლა, მუდამ არსებობისთვის სასტიკს ბრძოლაში უნდა იმყოფებოდეს; როდესაც ბრძოლა შესწყდება, ადამიანთა განვითარებაც შეჩერდება. კანონმა და ხალხთა ჩვეულებამ არ უნდა შეუშალოს ხელი ნიჭიერთა გამარჯვებას და მათის შთამომავლობის გამრავლებას. ამ გვარივე აზრისაა Haeckel-ი, რომელიც ამტკიცებს, რომ სულიერთა და მცენარეთა შორის მხოლოდ მცირე რიცხვი უძლებს სავსებით არსებობისათვის ბრძოლას, უმრავლესობას კი არა აქვს ამისათვის საკმარისი ძალ-ღონე და ადრე თუ გვიან ბოლო ელებათ. მკაცრი და ულმობელი ბრძოლაა არსებობისათვის ქვეყნად, ამას ვერავინა ჰყოფს უარს. სააქო მეჯლისზედ წვეულნი ბევრნი არიან, ხოლო ღირსეულნი კი ძალიან მცირეო, ნათქვამია.

დღეს განათლება და ზნეობა იმის ცდაშია, რომ, რადგან ბრძოლა არსებობისათვის მუდმივი, აუცილებელი კანონია, რაც შეიძლება შეუმსუბუქოს ტანჯვა იმათ, რომელნიც არ არიან მომზადებულნი ამ ბრძოლისათვის. მეცნიერის უელესის აზრით, როდესაც სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაშინ ბრძოლა ადამიანთა შორის უფრო შესუსტდება.

მერმისში რა იქნება, ჯერ არ ვიცით, მაგრამ დღესაც რომ სუსტი იჩაგრება ძლიერისაგან, ეს ყველასათვის ცხადია. ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს დღევანდელი ომი ძლიერის ინგლისისა ერთის მუჭა რაინდ ბურების წინააღმდეგ.

ექიმი ბადრიძე

სა ადგილი, სადაც მეფე მირიანი და მისი მეუღლე დედოფალი ნანა არიან დაკრძალულნი. იმათი საფლავის იატაკი ისეთივე წამხდარია, როგორც მთელის ტაძრის იატაკი. არც ლოდი, არც არავითარი ზედ წარწერა არ მოიძევება მათ საფლავზედ. მხოლოდ ეხლა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს ბრძანებით იქ ანთია დაუქრობელი ლამპარი.

დაღლილი და დარეშილი დავბრუნდით მცხეთის რკინის გზის სადგურზედ და იქ მოველოდით ბათუმიდგან მომავალ მატარებელს. მაგრამ აქაც ბედმა სანაღვლო ამბავი დაგვახვედრა. ამ სადგურიდგან ნახევარ ვერსტზედ ბაქოდამ მომავალი მატარებელი ერთბაშად გაჩერდა. მიზეზი ის იყო, რომ ვიღაც საბრალო ყმაწვილი მოჰყოლოდა ქვეშ მატარებელს და იქვე სული დალია. გავეშურეთ სანახავად და საზარელი სურათი დავინახეთ: თორმეტ-ცამეტის წლის ვაჟი იწვა ლიანდაგზედ და თავი სრულიად მოგლეჯილი ჰქონდა. ტანზედ უბრალო ცის ფერი საზაფხულო პერანგი ეცვა, ერთი შავი ქუდი თავს ეხურა, მეორეც იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი. როგორც სთქვეს, ყმაწვილი თურმე ბეჭზე იჯდა, როცა მატარებელი მოდიოდა, როგორც-კი მოახლოვდა, გადმოხტა და ლიანდაგზე გაწვა. თუ მართალია, ღმერთმა იცის, რამ აიძულა საბრალო ყმაწვილი, რომ ასეთი საშინელი სიკვდილი ამჯობინა სიცოცხლეს. საბრალო ყმაწვილი, როგორც გავიგეთ, ქართველი ყოფილა.

წყალტუბელი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ფრანგული გაზეთები იუწყებიან, საფრანგეთის ქალაქ ლიონში ამას წინად გარდაიცვალა ერთი მოხუცი რომელიც ყველას ღარიბი ეგონა. ნამდვილად-კი მილიონერი გამოდგა. ეს მოხუცი უბრალო ოთახში სცხოვრობდა, ჭამასა, სმასა და ოთახში 30 ფრანკს იხდიდა თვეში. ტანზედაც ძველი, თითქმის დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა. ამას წინად ეს მოხუცი პოლიციელს რიღაცისთვის პოლიციაში წაუყვანია; როდესაც იმის ჯიბეები გაუჩხრეკიათ, 50,000 ფრანკი უნახავთ; ჰგონებიათ მოუპარავსო და ციხეში ჩასმას უპირებდნენ, მაგრამ ბოლოს საბუთებით დაუმტკიცებია, რომ ფული იმის საკუთრება იყო. როდესაც მოხუცი გარდაცვლილა, პოლიციელს გაუჩხრეკია სახლი და 50,000 ფრანკის გარდა უნახავს იქ მრავალი ქაღალდის ფული, მთელი ტოპრაკები ოქროსა და ვერცხლის ფულით სავსე, სულ ერთ მილიონ ფრანკამდე. მთელი თავისი ქონება მოხუცს ანდერძით ლიონის საავადმყოფოსთვის შეუწირავს.

* * *

9 აპრილს 2,654 წელიწადი შესრულდა რაც ქალაქი რომი დაარსდა. ამიტომ ეს დღე რომაქმა დიდის ამბით გადაიხადა. მთელი რომი ბაირაღებით იყო მორთული; საღამოთი კაპიტოლი მშვენივრად გააჩირაღდნეს. მაგრამ უმთავრესი დღესასწაული დილით იყო, ბაზილიკში ბავშვთა ხორო სხვა-და-სხვა სიმღერებს ამბობდა. მოედანი აუარებელის ხალხით იყო გაჭედილი.

* * *

ზოგიერთი მგზავრები ამტკიცებენ, რომ ალპებზედ ხან და ხან წითელი თოვლი მოდისო. ეხლა გაზეთი „Schwyre Zeitung“-ი სწერს, რომ ამას წინად სკანდინავიის მთებზე კიდევ შავი თოვლი მოვიდაო. მიწა სულ შავად იყო გადაპენტილი. ამ შავს თოვლს რაღაც უსიამოვნო სუნი ასდიოდა. როდესაც კარგად გასინჯეს, ეს უცნაური თოვლი რწყილის მსგავსი რაღაც მწერები გამოდგა, რომელიც ქარს საიდგანღაც წამოეღო.

* * *

მთელს ევროპაში აუარებელი სურათები იყიდება თურმე, ვითომ სამხრეთ აფრიკაში ინგლის-ტრანსვაალის ომის დროს გადაღებული. ასეთსავე ომის სურათებს სინემატოგრაფებიც აჩვენებენ ხოლმე. ბევრსა ჰგონია, რომ ეს სურათები მართლა ომის დროს არის გადაღებულიო. პარიჟის ერთის გაზეთის კორესპონდენტი სწერს, ბევრჯელ მინახავს, რომ ასეთი სურათები სამხრეთ აფრიკის ნაცვლად პარიჟში გადაუღიათო. ამისთვის ფოტოგრაფებს თეატრებიდგან სტატისტები მიჰყავთ თურმე მინდორში. ზოგს ამათგანს ინგლისის ჯარის-კაცის ტანისამოსს აცმევენ, ზოგს კიდევ ბურების ტანისამოსს, ვითომდა ბურებს გძელ წვერებსაც უკეთებენ. მინდორში განსაკუთრებულ ამისთვის თხრილები და სიმაგრეებია გამართული, ბევრ გორაკზედ ზარბაზნებიც მოჩანს. აი აქ აყენებენ „ჯარს“, „ომს“ ჰმართავენ და როდესაც ბრძოლის ველი „მკვდრებითა და დაჭრილებით“ იფინება, სურათებს იღებენ.

* * *

ნეაპოლის ერთ მიყრუებულ ქუჩაში ახალგაზდა ინგლისელ ქალს თავს დასცემია ახალგაზდავე მენავე. მენავეს გაქურდვა განუზრახავს ქალისა, მაგრამ ახალგაზდა ინგლისელ ქალს ისეთი კარგი კრივი სცოდნია, რომ ქოლგა განზედ გადაუგდია და მუშტებით ცხვირ-პირი ჩაუმტვრევია მენავისათვის. ძალზედ დასისხლიანებულ და მიბეგვილ მენავეს ძლივს დაუღწევია თავი მამაც ქალისაგან.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 აპრილი.

**მოსკოვი.** დღეს, მეთერთმეტე საათზე, ხელმწიფე და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მიბრძანდნენ სამხედრო საავადმყოფოში, სადაც მიეგება მათ მორიგე აფიცერი, შემდეგ—საავადმყოფოს უფროსი—გენერალ-მაიორი ადამოვიჩი, მკურნალები და ზედამხედველი. მისი უდიდებულესობა შებრძანდა სადოსტაქრო განყოფილებაში, სადაც კითხვებს აძლევდა ავადმყოფებს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მძიმე ავადმყოფთ—ყაზახ ბარიშევს და მოხუც კოვალიევს. აფიცერთა პირველ განყოფილებაში დანარჩენ ავადმყოფთა შორის მყოფმა პერმის ეპარქიის მღვდელმა პეტრე არეპიევმა, რომელსაც ხელმწიფე მოწყალედ გამოელაპარაკა, დალოცა ხატით. ამავე განყოფილებაში ხელმწიფემ და დიდმა მთავარმა თავიანთი სახელი ჩასწერეს წიგნში. ხელმწიფემ ჩამოუარა ავადმყოფ დაბალ ჯარის-კაცთ სხვა განყოფილებებში, მძიმე ავადმყოფებთან ჩერდებოდა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ავადმყოფს, რომლისთვის სამი ლიტრა სითხე გამოეშვათ თირკმელიდგან. საფერშლე სკოლის ავადმყოფ მოსწავლეთა განყოფილებაში ხელმწიფე მიეალერსა მათ; დაიარა ნერვებით ავადმყოფთა განყოფილება და შემდეგ ეკკლესიაში შებრძანდა, სადაც მიეგება დეკანოზი ჯვარით ხელში და აიაზმით, და მოისმინა მცირე პარაკლისი. ხელმწიფემ დაათვალიერა სამზარეულო და გასინჯა საჭმელები. მადლობა უთხრა-რა საავადმყოფოს უფროსს, ხემწიფე და დიდი მთავარი დაბრუნდნენ საავადმყოფოდგან კრემლის სასახლეში. დღეს მისი უდიდებულესობა დედოფალი იმპერატრიცა დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულთან ერთად ბრძანდებოდა ობლების თავშესაფარში, რომელიც დედოფლის მფარველობის ქვეშ იმყოფება. ალექსეევის მონასტრის შესავალში იდგნენ ბერები, რომელთაც გაეგონათ დედოფლის მობრძანების ამბავი, ხოლო გეერის სახელობის თავ-შესაფართან გამოეგება სამღვდელოება ჯვარით. თავ-შესაფარში დედოფალს დაჰხვდნენ ქალაქის მოურავი, თავშესაფარის ზედამხედველი ქალი და მკურნალი. ოთახში შესვლის დროს მის უდიდებულესობას ბავშვები გალობით მიეგებნენ. დედოფალმა იკითხა, რამდენი ბავშვია თავშესაფარში და დაათვალიერა სადგომი. ერთმა ბავშვმა მიართვა მისს უდიდებულესობას ნაკერი პირსახოცი და მოახსენა: „დედაო დედოფალო, მოწყალე გვეყავ და მიიღე ჩვენი სადა ხელთ-ნაქნარი“. დედოფალმა მადლობა გადაუხადა ბავშვს, რომ ლითაც ბედნიერ იქმნა და ხელზედ აკოცა მისს უდიდებულესობას. მეორე ბავშმა დიდ მთავრინას ყვავილებით სავსე კალათა მიართვა. დედოფალმა და დიდმა მთავრინამ გასინჯეს ბავშვების საჭმელი. დედოფალმა მოისურვა იმის გაგება, რომელ სკოლაში სწავლობენ ბავშვები; ქალაქის მოურავმა მოახსენა, რომ ქალები ალექსეევის მონასტრის სამრევლო საეკკლესიო სკოლაში დადიან, ხოლო ვაჟები საქალაქო კრასნოსელის სასწავლებელშიო. დედოფალმა შეაქო სისუფთავე თავშესაფარისა, შემდეგ 1 საათზედ მისი უდიდებულესობა და დიდი მავრინა წაბრძანდნენ.

**ლონდონი.** „Times“ ის კორესპონდენტი იუწყება 17 აპრილიდგან, რომ ბურების სარდალი ოლივიე ჩრდილოეთის ნაცვლად სმიტფოლდისაკენ წასულა,—ხოლო მეორე რაზმი ბურების ჯარისა მდინარე ლეუვის ნაპირებზედა სდგასო.

**ბრიუსელი.** ბელგიის პრინცი ალბერტი პარასკევს ბერლინში მიდის, რომ მომავალს დღესასწაულობას დაესწროს.

**ლონდონი.** „Daily News“-ს ატყობინებენ დეპეშით ლორენცო-მარკეზედგან: „როგორცა სჩანს, ბურების მთავრობას განზრახვა აქვს რაც შეიძლება დიდხანს გაგვიწიოს წინააღმდეგობა. ლიდენბურგის ოლქში სიმაგრეებს აშენებენ. მთიან ადგილების გამო დღემდის ლიდენბურგი ჰოლლანდიის რკინის გზასთან ვერ შეუერთებიათ. ამ ბოლოს დროს კომატიპორტიდგან ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმავალ ძველ რკინის გზის ლიანდაგზედ მეტად დიდს მხნეობას იჩენენ. ეჭვი არ არის, განზრახვა აქვთ რკინის გზა ლიდენბურგამდის მიიყვანონ და, თუ შემთხვევა მოითხოვს, ჰოლლანდიის რკინის გზა უცბად აშალონ.

„Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ ლორენცო-მარკეზედგან, რომ იქ მისულა საფრანგეთის გემი, რომელზედაც სიმონსტაუნიდგან გაქცეული 12 ბური ყოფილა. ეს ბურები პრეტორიაში თურმე მიდიან.

**კონსტანტინეპოლი.** ერთმანეთს შორის შეთანხმების შემდეგ გარდასწყვიტეს გუშინ სახელმწიფოთა ელჩებმა, რომ პორტას ნოტა საბაჟო გარდასახადთა მომატების შესახებ დროებითი ღონისძიებაა მხოლოდ და არავითარი სხვა განზრახვა არა აქვს სახელმწიფოს, რასაც დაწვრილებით აცნობებენ თავიანთ სახელმწიფოებს. იზმაილ-ბეი ინგლისის საელჩოს საფოსტო გემით „Khedivial“-ით წავიდა. წასვლის წინად ქალაქის ფრეფექტი რედვან-ფაშა ბევრს ეცადა, რომ იზმაილი დაეყოლიებინა როგორმე და სამშობლოში დარჩენილიყო, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. სულთანმა უთუოდ რომელისამე იზმაილის მეგობარ სახელმწიფოს თხოვნით დაჰრთო ნება, რომ ტრიპოლის გუბერნატორობაზედ უარი ეთქვა და საზღვარ გარეთ წასულიყო იგი.

**ლონდონი.** „Times“-ს ატყობინებენ დეპეშით ბლუმფონტენიდგან, რომ დამორჩილებულს ბურებს ყველას ცხენები ჩამოვართვითო. ეჭვი არ არის, ეს საშუალება იარაღის ჩამორთმევაზედ ბევრად უმჯობესია და ადვილი შესასრულებელიც.

„Morning Post“-ს ატყობინებენ იქიდგანვე: ინგლისელებს ორი ფრიად საყურადღებო წერილი ჩაუვარდათ ხელთ: ერთი ამათგანი პრეზიდენტის შტეინისაა გენერლის ბოტასადმი მინაწერი, რომ კრონშტადტის დასაცველად მეტად ცოტა ჯარია დატოვებულიო და ატყობინებს ამასთანავე, რომ ინგლისელებს 5,000 კაცი ჰყავთ გამზადებული წინ გასაგზავნადო. გარდა ამისა აღნიშნულს წერილში უკმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ კრონშტადტის დასაცველად დარჩენილმა რაზმმა მოსავლიანს ადგილებს დაუწყო ძარცვა და ამითი ორანჟეს და ტრანსვაალის ბურებს შორის უკმაყოფილება გამოიწვია. შტეინი იმ აზრისაა, რომ 10,000 ბურიდგან, რომლებიც ამ ჟამად ნატალში არიან დაბანაკებულნი, ერთი ნაწილი ვანრენენის ვიწრო გასავლისაკენ წავიდეს და კრონშტადტთან დადგეს, რომ ინგლისელებს შეტაკების დროს ღირსეული პასუხი გასცენ და დაამარცხონ. დასასრულ შტეინი ამბობს, რომ იგი არავითარს პასუხის მგებლობას არ იკისრებს იმ შემთხვევაში, თუ ორანჟეს ბურები პირობას რითიმე დაარღვევენ იმის გამო, რომ ორანჟეს რესპუბლიკის დროებითს სატახტო ქალაქს ტრანსვაალი ჯეროვანს მფარველობას არ გაუწევს. მეორე წერილი კრიუგერს ეკუთვნის და მიწერილია ჯარის უფროსის ფორტინგსტრიმსისადმი. კრიუგერი ამბობს ამ წერილში, რომ მეტი ჯარის გამოყვანა შეუძლებელია, რადგანაც თითოეული რესპუბლიკელი იმ ადგილისა და საქმისათვის არის საჭირო, რომელზედაც ამ ჟამადაა მიჩემებულიო. წერილის დასასრულში ნათქვამი აქვს, რომ ბრძოლის საქმეში ევროპის ჩარევა მხოლოდ დროებითი საკითხიაო“.

**პეტერბურგი.** გერმანიის მემკვიდრე პრინცის სრულის წლოვანების მესრულების გამო დანიშნულს დღესასწაულობაზედ დასასწრებლად დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე 20 აპრილს წაბრძანდა ბერლინში.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 22 აპრილს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობისათვის მილის გამართვის საქმე ლაბარატორიის ქუჩიდგან მთაწმინდის ქუჩამდე ქიქოძის სახლის ალაყაფის კარებამდე, სიგრძით 7000 საჟენი, 2060 მანეთის ღირებულობისა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის აშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე, კვირაუქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—3)

## იყიდება სახლი

ქ. თელავში,

ბულვარს ახლო, ვალი ბანკისა 4800 მან., დასამატი 6000 მან. დაწვრილებით მოლაპარაკება პირადად ანუ წერილით შეიძლება ივანე პავლეს ძე როსტომაშვილთან, ქ. ტფილისს, მთაწმინდის მეიდ., სახლი ბაქრაძისა, № 20. (3—107—3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 22 აპრილს 1900 წელს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დამტვრეულ ქვისა და ქვიშის მოსატანად ქალაქის გზატკეცილების შესაკეთებლად: 1, 2 და 3 პოლიციის ნაწილებში საჭიროა 100 კუბიკური საჟენი ქვა და 20 კუბიკური საჟენი ქვიშა; მე-4, 5 და 6 ნაწილებში—50 კუბ. საჟენი ქვა და 10 კუბიკური საჟენი ქვიშა; მე-7 და 8 პოლიციის ნაწილში—250 კუბ. საჟენი ქვა და 50 კუბ. საჟენი ქვიშა და მე-9 და 10 ნაწილში—200 კუბ. საჟ. ქვა და 40 კუბ. საჟენი ქვიშა; ამასთანავე ეს საქმე შეიძლება გადაეცეს მსურველს ერთად ანუ ნაწილ-ნაწილ. მსურველს პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის მესამე აშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, ცხრა საათიდგან სამ საათამდე.

(3—6.—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Апрѣля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე